საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი ოქტომბერი 2024 / გამოცემა #77

# წინასაარჩევნო ნარატივები: როგორ საქართველოზე ოცნებობს ქართული ოცნება?

**კორნელი კაკაჩია**[1]
**ლევან კახიშვილი**[2]
**ნინო სამხარაძე**[3]

ქართული ოცნება საქართველოს უკვე 12 წელია მართავს, და პარტია ხელისუფლების მეოთხე ვადით მოპოვებისთვის იბრძვის, რაც, ახალგაზრდა ქართული დემოკრატიისთვის უჩვეულო მოვლენაა. მმართველობის მიმდინარე - მესამე ვადა - განსაკუთრებით დამაზიანებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს დემოკრატიული და დასავლური კურსის განვითარებისთვის. შესაბამისად, ქართულ ოცნებას, 2024 წლის არჩევნებამდე პერიოდში, მზარდი ავტორიტარული ტენდენციების ფონზე უწევს ისეთი ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება, რაც საზოგადოების ვნებათაღელვას და პარტიის წინააღმდეგ უარყოფით მობილიზებას იწვევს. ქართულ ოცნებას თანდათან უფრო უჭირს საკუთარი ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული ამოცანების ხალხის ძალის შირმის ან „პროევროპულობის“ და „პროდემოკრატიულობის“ ბუტაფორიის მიღმა დამალვა. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე განსაკუთრებით რთული ხდება ამ დემოკრატიულობის ფასადის შენარჩუნება.

მოვლენათა ეს კომბინაცია, ხშირად, იმდენად თვითდამაზიანებელია პარტიისთვის, რომ ისედაც არსებული ძლიერი ეჭვები პარტიის საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის

[1] კორნელი კაკაჩია არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი.
[2] ლევან კახიშვილი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის აფილირებული ანალიტიკოსი.
[3] ნინო სამხარაძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსი.

ინტერესების დომინაციის შესახებ, ბოლო წლებში, კიდევ უფრო გაძლიერდა. თვალსაჩინო გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც არაფორმალური მმართველობის ცენტრალური ფიგურა, პოლიტიკურ პროცესს საქართველოში პირადი გავლენის გასაძლიერებლად იყენებს და სახელმწიფო ინტერესებს პირად ინტერესს უქვემდებარებს. ის ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი პარტიის ძირითად ხედვებზე საქართველოს სახელმწიფოსა და გლობალური მოვლენების მიმართ. ამასთანავე, მიუხედავად იმისა რომ პარტია ჯერ კიდევ ცდილობს, თავი წარმოაჩინოს, როგორც ქართველი ერის ინტერესების გამომხატველმა ერთადერთმა ძალამ, დემოკრატიის უკუსვლის ფონზე მას აქამდე გაცხადებული საგარეო და შიდაპოლიტიკური მიდგომების რადიკალურად შეცვლა მოუწია. ამ ფონზე, დღის წესრიგში დგება ქართული ოცნების შიშებზე აგებული პოლიტიკის ანალიზი და იმის ამოხსნა, თუ რა ინტერესები იკვეთება პარტიის რიტორიკიდან და როგორ ხედავს ის საქართველოს მომავალს, თუ 2024 წლის არჩევნების შედეგად მთავროის ჩამოყალიბებას მოახერხებს.

## ქართული ოცნების ნარატივების ანალიზი 2024 წლის აპრილის შემდეგ

საქართველოს სახელმწიფოს შესახებ ქართული ოცნების ხედვების შესაფასებლად, წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია პარტიის საჯარო შეკრებების ფარგლებში წარმოთქმული სიტყვები და მნიშვნელოვანი საჯარო განცხადებები (იხ. დანართი 1). 29 აპრილის საერთო-საყოველთაო შეკრება, რომელიც ერთ-ერთ წყალგამყოფ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ქართული ოცნების ძირითადი ხედვების წარმოდგენის თვალსაზრისით. საკვანძო სიტყვებისა და განცხადებების შერჩევა დასრულდა ბიძინა ივანიშვილის მიერ 1 ოქტომბერს ამერიკის საელჩოსთვის მიწერილი წერილით. გასაანალიზებელი მასალა შეირჩა იმის მიხედვით, თუ რა იყო ყველაზე გარდამტეხი გაჟღერებული თემების მიხედვით, ან რამ გამოიწვია შედარებით მეტი აჟიოტაჟი / ვნებათაღელვა საზოგადოებაში. ტექსტების ანალიზისას, ყურადღება დაეთმო იმგვარ იდეებსა და ხედვებს, რომლებსაც გააჩნიათ არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის პოტენციალი როგორც შიდა, ისე საგარეოპოლიტიკური მიმართულებით.

შერჩეული ტექსტების თემატური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საქართველოსა და მსოფლიოს შესახებ ქართული ოცნების ხედვების სამი ძირითადი განზომილება: (1) „ნიურნბერგი ქართულად“ ანუ პოლიტიკური ველი ქართული ოცნების გააზრებაში; (2) ქართული ოცნების გეოპოლიტიკა და ომსა და მშვიდობას შორის მოქცეული საქართველო; (3) ბიძინა ივანიშვილის ფინანსური ინტერესების საკრალიზაცია - მსხვერპლი და მესია.

აღნიშნული სამი განზომილება შესაბამისად უკავშირდება საქართველოს შიდაპოლიტიკურ მდგომარეობას, საგარეო პოლიტიკასა და ბიძინა ივანიშვილის ფიგურის ცენტრალურობას საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ცხოვრებაში.

## „ნიურნბერგი ქართულად“ ანუ პოლიტიკური ველი ქართული ოცნების გააზრებაში

ქართული ოცნების მიერ 19 აგვისტოს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მმართველ პარტიას 26 ოქტომბრის არჩევნებში კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვების მიზანი აქვს დასახული, რაც „პირველ რიგში, ... გვჭირდება პოლიტიკური სისტემის თვისებრივად გასაჯანსაღებლად“ (ქართული ოცნება, 20 აგვისტო). „პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება“, ერთი მხრივ, ბუნდოვანი ამოცანაა, თუმცა, ქართული ოცნების მიხედვით, მისი მიღწევა „პოლიტიკიდან კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის ჩამოშორების გარეშე შეუძლებელია“ (ქართული ოცნება, 20 აგვისტო). განცხადებაში ნათლადაა ხაზგასმული, რომ „საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე, ჩვენ დავაინიცირებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა მისი სატელიტი, თუ მემკვიდრე პარტია, არაკონსტიტუციურად გამოცხადდება“ (ქართული ოცნება, 20 აგვისტო). აღნიშნული განცხადება წერილობითი, ფორმალური დაპირებაა ამომრჩევლის წინაშე, რომელიც საჯარო გახდა შიდაპარტიული განხილვებისა და პოზიციების შეჯერების შედეგად. შემთხვევითი არაა, რომ ქართული ოცნების არაერთი წარმომადგენელი საუბრობს „კოლექტიური“ ნაციონალური მოძრაობის გასამართლების საჭიროებაზე, თუმცა „ნიუნრბერგის პროცესად“ ამ დაპირების მოხსენიება სწორედ პარტიის ოფიციალურ განცხადებაში გვხვდება: „ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს ერთგვარ ნიურნბერგის პოლიტიკურ განაჩენად „ნაციონალური მოძრაობისთვის“ (ქართული ოცნება, 20 აგვისტო). საგულისხმოა ისიც, რომ მანამდე, ამგვარი ფრაზეოლოგია ირაკლი კობახიძეს აქვს გამოყენებული 2023 წლის აპრილში (მთავარი არხი 2023). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს დაპირება არ წარმოადგენს წინასაარჩევნო კამპანიის კონტექსტში წარმოშობილ გამოწვევებზე სპონტანურ რეაქციას.

„ნიურნბერგის პროცესი“ ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ნარატივია, რასაც ქართული ოცნება ავითარებს. ამას ორი მიზეზი აქვს. პირველი, ამ დრომდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ელექტორალურად ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიაა, რომელიც ოცნების სურვილების

მიუხედავად არ დაშლილა. შესაბამისად, ქართული ოცნება საკონსტიტუციო უმრავლესობით ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მთავარ კონკურენტს უპირებს გასამართლებას, „როგორც ერთიან მოღალატეობრივ დაჯგუფებას“ (ივანიშვილი, 29 აპრილი), რადგან, ბიძინა ივანიშვილის (29 აპრილი; 16 ივლისი) მიხედვით, ერთი მხრივ, 2012 წელს ქართულ ოცნებას „ნაციონალური მოძრაობის დასჯის არავითარი რესურსი“ არ ჰქონდა, ხოლო, მეორე მხრივ, პარტია დარწმუნებული იყო, „რომ ნაციონალური მოძრაობა ვეღარასოდეს განაცხადებდა პრეტენზიას ხელისუფლებაში დაბრუნებაზე, თუმცა როგორც მოგვიანებით გაირკვა, მათ ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული.“ შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ოცნება ვერ ეგუება, რომ ნაციონალური მოძრაობის სახით, მას ჰყავს სისტემური კონკურენტი, რომელსაც მმართველობის გამოცდილება გააჩნია. ამავდროულად, სხვა პარტიებთან შედარებით ნაციონალური მოძრაობა ყველაზე დიდი არაპოპულარობითაც სარგებლობს (IRI 2023). ამიტომ ნაციონალური მოძრაობის სახელი ქართული ოცნების ხელში იქცევა ინსტრუმენტად, მოასუფთავოს პოლიტიკური ველი.

პოლიტიკური ველის მოსუფთავება კი წარმოადგენს მეორე მიზეზს, რის გამოც „ნიურნბერგის პროცესი“ საგანგაშოა ქართული დემოკრატიისთვის. ნაციონალური მოძრაობის არაპოპულარულობა საზოგადოების ნაწილში ქართულ ოცნებას საშუალებას აძლევს, რომ მასთან დააკავშიროს ნებისმიერი პოლიტიკური თუ სამოქალაქო პირი, რომელიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი. შესაბამისად, ქართული ოცნების წარმომადგენლები გამუდმებით ხაზს უსვამენ იმას, რომ საქმე გვაქვს „კოლექტიურ“ ან „კრებსით“ ნაციონალურ მოძრაობასთან. ამასთან, ირაკლი კობახიძის (23 აგვისტო) მიხედვით, „არ არის საინტერესო [ვინ შევა პარლამენტში], გამომდინარე იქიდან რომ სწორედ მომდევნო მოწვევის პირობებში უნდა გასამართლდეს ნაცმოძრაობა თავისი სატელიტებით და თავისი მემკვიდრე პარტიებით, შესაბამისად, ვინც არ უნდა გადალახოს ბარიერი, გასამართლებას ვერავინ აიცილებს თავიდან“ (კობახიძე, 23 აგვისტო). კობახიძის განცხადებას თუ დავუჯერებთ, პრაქტიკულად სრული ოპოზიციური სპექტრი მოიაზრება „ნიურნბერგის პროცესის“ მონაწილედ. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმას, რომ მომდევნო წლებში მმართველი პარტიის ან მისი განაყოფი და/ან მოკავშირე პატარა პარტიების მიღმა ამომრჩეველს რეალური არჩევანი აღარასდროს ჰქონდეს. მეტიც, ეს არჩევანი, ქართული ოცნების მხიედვით, კრიმინალიზების საგანიც კი უნდა იყოს. სწორედ ამაზე მიუთითებს პარტიის განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ შეუძლებელია დღევანდელ საქართველოში ჩამოყალიბდეს „ჯანსაღი დემოკრატიული სისტემა,“ სადაც „ხელისუფლებაში ერთმანეთზე უკეთესი პოლიტიკური ძალები უნდა“ მოდიოდნენ.

განცხადების მიხედვით, „სრულფასოვანი არჩევნები საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, რაც პოლიტიკურ სისტემაში კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯანსაღი ოპოზიციური ძალები ჩაანაცვლებენ.“ თუ ქართული ოცნება მოახერხებს, რომ ნამდვილად წამოიწყოს დაპირებული პროცესი, ეს ცალსახად იქნება გზა ერთპარტიული კონსოლიდირებული ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებისკენ.

გარდა იმისა, რომ ქართულმა ოცნებამ დააანონსა პოლიტიკური ოპოზიციის გასამართლება, პარტიის ნარატივი ეხება სამოქალაქო სივრცესაც: სამოქალაქო აქტორები გარედან მართულ მტრებად მოიხსენიებიან. ამ „შიდა მტრების“ რიგებში ხშირად ახსენებენ „აგენტურასა“ და „აგენტოკრატიას“, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ამომრჩეველსაც კი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმოებული კამპანია და მათი „აგენტებად“ მოხსენიება ოცნების ნარატივში უკვე ნორმალიზებულია. მაგალითად, ირაკლი კობახიძემ 23 აგვისტოს განაცხადა, რომ საქართველოში ოპოზიცია არის „უცხოური აგენტურა, რომელიც მუდმივად არის მომართული ომისკენ, ქვეყნის არევისკენ.“ ბიძინა ივანიშვილის (15 სექტემბერი) თქმით, კი ყველა მიღწევა „უკან დაგვრჩება, თუ გარე დაკვეთით მოქმედ აგენტურას, რადიკალურ ოპოზიციას ქვეყნის არევის შესაძლებლობას მივცემთ და მშვიდობას ვერ შევინარჩუნებთ.“ სამოქალაქო საზოგადოების ამგვარი დემონიზება აღარ არის გასაკვირი, მაგრამ ქართული ოცნების ნარატივში ასევე იკვეთება ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის ადგილიც.

ქართული ოცნების 19 აგვისტოს განცხადება პირდაპირ ცდილობს ამომრჩევლის ნაწილის დადანაშაულებას: „2020, ან 2021 წელს სახლში დარჩენილ, ან ოპოზიციის ამომრჩეველს რომ გაემარჯვა, დღეს საქართველო უკრაინაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.“ ამ განცხადების მიხედვით, სწორედ პასიურ და ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში რუსეთი სრულმასშტაბიან ომს წამოიწყებდა, როგორც ეს მან უკრაინაში გააკეთა. მეტიც, ირაკლი კობახიძის 29 აპრილის განცხადება „რადიკალური ოპოზიციას“ ადანაშაულებს „სახელმწიფოს მუდმივ მტრობაში,“ ხოლო ოპოზიციის ქმედებებზე „პასუხისმგებლობას ინაწილებს ყველა მისი მხარდამჭერი და ამომრჩეველი, ყველა ამ ამომრჩეველმა ხმა მისცა მეორე ფრონტს და არეულობას საქართველოში.“ ამომრჩეველზე ამგვარი თავდასხმა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად შეიძლება გაუარესდეს ქართული ოცნების არა მხოლოდ ნარატივები, არამედ პოლიტიკური ქცევაც, თუ მას ექნება შესაძლებლობა, რომ სისრულეში მოიყვანოს საკუთარი ხედვები. ეს ყველაფერი პირდაპირ ეხმიანება ქართულ ოცნებასთან აფილირებული ერთიანი ნეიტრალური საქართველოს 15 ოქტომბრის

განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს პარტიის მიერ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულების თანამონაწილეებად მოიხსენიებს და ამტკიცებს, რომ „თითოეულ ამ ადამიანს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მტრობისა და დაუსრულებელი რყევის გამო“ (პუბლიკა, 2024). შესაბამისად, ქართული ოცნების ნარატივი იმის მოლოდინს ქმნის, რომ 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თუ პარტიამ ძალაუფლება შეინარჩუნა, გარდაუვალი იქნება პოლიტიკური რეპრესიები არა მხოლოდ პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ, არამედ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და, დიდი ალბათობით, თითოეული ამომრჩევლის წინააღმდეგ, რომელიც ქართული ოცნებისადმი კრიტიკულად არის განწყობილი.

ამგვარად, ქართული ოცნების ხედვით საქართველოში „ჯანსაღი დემოკრატია“ მხოლოდ იმ შემთხვევაში აშენდება, თუ პარტია მოიპოვებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და კონსტიტუციურად აკრძალავს „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას.“ ამის შემდეგ უნდა მოხდეს „ნაცობის“, როგორც „სისხლიანი იდეოლოგიის“, გასამართლება - ნიურნბერგის პროცესი ქართულად, რომლის ფარგლებშიც ასევე გასამართლდებიან და დაისჯებიან უცხოეთიდან მართული „აგენტურული ქსელები“ ანუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ამ ყველაფრის შემდეგ კი დადგება დრო თითოეულმა კრიტიკულად განწყობილმა ამომრჩეველმა გაიზიაროს საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა, რომელიც ოპოზიციისთვის ხმის მიცემით, ქართული ოცნების ნარატივის მიხედვით, საქართველოს ომში ჩართვას უწყობს ხელს. შესაბამისად, ნიურნბერგის პროცესი იქნება საფუძველი, რომლის გარეშეც ქართული ოცნების მტკიცებით, შეუძლებელია „საქართველოს შეუქცევადი განვითარება“ (ივანიშვილი, 16 ივლისი) და საქართველოს „ნათელი, ევროპული მომავლის“ უზრუნველყოფა (კობახიძე, 23 აგვისტო). ქართული ოცნების ეს ხედვა არის კლასიკური ავტორიტარული რეჟიმის კონსოლიდაციისკენ მისწრაფება, რომელშიც არ იარსებებს პოლიტიკური კონკურენციის სივრცე, კონსტიტუციურად იქნება აკრძალული პოლიტიკური და სამოქალაქო ოპოზიცია, ხოლო ამომრჩეველი იცხოვრებს პოლიტიკური რეპრესიების მუდმივი შიშის ქვეშ.

## ქართული ოცნების გეოპოლიტიკა და ომსა და მშვიდობას შორის მოქცეული საქართველო

დასავლეთთან მწვავე კონფრონტაცია ორმა ძირითადმა მოვლენამ განაპირობა: ერთი მხრივ, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ ოფიციალური თბილისის

ორაზროვანმა პოზიციებმა რასაც დასავლეთისა და უკრაინის დამუნათება ერთვოდა თან; ხოლო, მეორე მხრივ, დემოკრატიულ უკუსვლასთან დაკავშირებული კრიტიკის გამო დასავლელი პარტნიორების დემონიზაციის დეზინფორმაციულმა კამპანიებმა. ქართულ ოცნებას დასჭირდა რამდენიმე მიმართულებით მუშაობა იმისთვის, რომ დასავლური ჯანსაღი კრიტიკის პარტიისთვის დამაზიანებელი ეფექტები გაენეიტრალებინა. მისტიკური ძალების გამოგონება, რომლებიც საქართველოს მშვიდობას ემუქრებიან; „არაღირსეული ევროპის“ ხატის შექმნა; ამერიკასთან კონფრონტაცია; არალიბერალურ ძალებთან თანამშრომლობის გაღრმავება. ამ ყველაფრის პარალელურად, ქართული ოცნება ერიდება რუსეთის კრიტიკას და საქართველოს ოკუპაციაზე პასუხისმგებლობას საქართველოსვე აკისრებს.

საბოლოოდ ამ ყველაფრის გასამართლებლად ქართული ოცნება ამომრჩეველს სთავაზობს გეოპოლიტიკურ რეალობას, რომელშიც „მისტიკური გლობალური ომის პარტიის წარმომადგენლები“ ან მარცხდებიან, ან ოცნება მათთან „ლაგდება“ (RFE/RL 2024d). პარტიის ლიდერები ზუსტად არ ასახელებენ, ვინ მოიაზრება „გლობალური ომის პარტიაში“, (სავარაუდოდ, იგულისხმება ევროპისა და ამერიკის წამყვანი ლიბერალური ნომენკლატურა) (პერტაია 2024). თუმცა, ამბობენ, რომ ამ ჯგუფის მიზანი უკრაინაში მიმდინარე ომში საქართველოს ჩართვა და მეორე ფრონტის გახსნაა - როგორც, თავად ბიძინა ივანიშვილი აჟღერებს, „საქართველოს მიმართ გლობალური ომის პარტიის აგრესიის მთავარი მიზეზი ისაა, რომ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მეორე ფრონტად ვერ აქცია, რასაც ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნების პირობებში ძალიან მარტივად მიაღწევდა.“ (ივანიშვილი, 29 აპრილი). მათ სასურველ გეოპოლიტიკურ სცენარში, ამერიკაში ტრამპი იმარჯვებს, ხოლო ევროკავშირში „ღირსეული პატრიოტული“ ძალები მოდიან (ივანიშვილი, 16 ივლისი). ეს ის იმედებია, რომლებსაც პარტია თავად ვერ გააკონტროლებს, ამ პროცესებზე მას გავლენა  არ აქვს, და ასეთი იმედების გასამართლებლადაც საჭიროა, საქართველოს მიღმა პოლიტიკური პროცესები პარტიისთვის სასურველად განვითარდეს.

ქართული ოცნების ელიტას სჯერა, რომ მსოფლიო წესრიგი რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდგომ უფრო მულტიპოლარული ხდება. დასავლეთი რომელიც მხარს უჭერს უკრაინას სუსტია და კარგავს თავის გავლენებს მსოფლიოში და განსაკუთრებით გლობალურ სამხრეთში. ამ სისტემური ცვლილებებიდან გამომდინარე ისინი უკრაინის გამარჯვების შესაძლებლობას ვერ ხედავენ. პირიქით, ლოგიკურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარტიას სჯერა,  რომ  მას შემდგომ, რაც კრემლი პოსტ-საბჭოთა რეგიონის ქვეყნებს ძალით შემოიმტკიცებს, რუსეთი  ხდება მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ძლიერი პოლუსი,

რომელიც ამავე დროს ხდება რეგიონული ჰეგემონი. აქედან გამომდინარე საქართველოს, როგორც სუსტ სახელმწიფოს, მოუწევს „ახალი რეალობების“ აღიარება და საჭირო ხდება აქტიურად მოემზადოს და მოერგოს პუტინის რუსეთის მიერ შექმნილ ახალ რეგიონულ წესრიგს და იფიქროს საკუთარ ეროვნული ინტერესების გატარებაზე (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კონფედერაციის შექმნა) არსებულ პირობებში. საუკეთესო შემთხვევაში ეს შესაძლებელია ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემდეგ, „რათა საქართველოს ფაქტორი აღარ არსებობდეს დასავლეთსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობრივ საკითხთა ნუსხაში“ (Civil.ge 2013). ოცნების კრიტიკოსები ასევე არ გამორიცხავენ რომ უკიდურეს შემთხვევაში ეს სცენარი რუსეთის მიერ დომინირებულ პოსტ საბჭოთა სტრუქტურებში გაერთიანებით (დსთ, ევრაზიული კავშირი და ა. შ) დასრულდეს. თუმცა არსებობს კიდევ ერთი ცდუნება გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიაში დიდი მოთამაშეების (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, ირანი, თურქეთი) კონკურენციაა, ქართული ოცნების ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სანამ გეოპოლიტიკური სიტუაცია საბოლოოდ გაირკვევა, მისი საუკეთესო შანსია, გაატაროს ე.წ. მულტივექტორული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ზურგს უმაგრებს შიდა პოლიტიკური სიტუაცია და ავტორიტარიზმისკენ გადახრილი სახელისუფლებო რეჟიმის თავისებურებები. ამ პოლიტიკის ძირითადი არსია, მმართველმა ელიტამ განუსაზღვრელი ვადით შეინარჩუნოს ხელისუფლება ქვეყნის შიგნით და მინიმუმამდე შეამციროს საქართველოს ხელისუფლების (ეკონომიკური, პოლიტიკური) დამოკიდებულება დასავლეთზე.

ქართული ოცნების ელიტა იმედოვნებს, რომ აშშ საპრეზიდენტო არჩევნებში დონალ ტრამპი დამაჯერებლად გაიმარჯვებს (ივანიშვილი, 16 ივლისი). გეოპოლიტიკური გათვლა იმაზეა აგებული, რომ ტრამპი როგორც იზოლაციონისტი და როგორც დემოკრატიის გლობალურად გავრცელების მოწინააღმდეგე, ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს და ძირითადად რუსეთთან და ჩინეთთან საერთო ენის გამონახვას შეეცდება. ბაიდენის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ის ასევე ნაკლებ ყურადღებას და რესურსებს დაუთმობს უკრაინის მხარდაჭერის საკითხს. ოცნება ასევე ცდილობს გააღრმავოს სტრატეგიული კავშირები ვიქტორ ორბანის ხელისუფლებასთან და მემარჯვენე ევროსკეპტიკურ ჯგუფებთან (ევროპის პატრიოტები), რომლებსაც მიიჩნევს როლურ მოდელად და ცდილობს მისი მეშვეობით დაბლოკოს ხელისუფლებისთვის არასასურველი გადაწყვეტილებები ევროკავშირში (სანქციები, ვიზა ლიბერალიზაციის შეჩერება) (Vinklerova 2024).

## ბიძინა ივანიშვილის ფინანსური ინტერესების საკრალიზაცია: მსხვერპლი და მესია

საქართველოს სახელმწიფოსა და მის ტრადიციულ მეგობარ სახელმწიფოებს შორის გაუგებრობა მნიშვნელოვნად დაუკავშირდა ბიძინა ივანიშვილის ფინანსურ დავებს. საინტერესოა, რომ ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი აღმოჩნდა, რომ დროთა განმავლობაში, ის დასავლეთთან კონფრონტაციული საინფორმაციო კამპანიის ნაწილიც კი გახდა.

ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის მმართველობის სხვადასხვა ეტაპებზე სხვადასხვა ინტენსიობით იყო ჩართული საჯარო პოლიტიკაში. პარტიის მმართველობის მესამე ვადის დროს, როცა განსაკუთრებით შეირყა პარტიის რეიტინგი და გაიზარდა საზოგადოებრივი უკმაყოფილება, ის კვლავ დაბრუნდა საჯარო სახედ, ამჯერად პარტიის საპატიო თავმჯდომარის სტატუსით. ეს სტატუსი მას ოფიციალურ სახელმწიფო თანამდებობას ან ანგარიშვალდებულებას  არ ანიჭებს, თუმცა, მეორე მხრივ, გავლენიან საპატიო სტატუსს უნარჩუნებს მმართველ დონეზე. პარტიის ნომინალური ლიდერები (ირაკლი ღარიბაშვილი, შალვა პაპუაშვილი, კახა კალაძე, მამუკა მდინარაძე, ირაკლი კობახიძე) მუდმივად ხაზს უსვამენ ბიძინა ივანიშვილისადმი მადლიერებას.

ამ მიმართულების ძირითადი ხაზი გადის ივანიშვილის ერთდროული ჰეროიზაციისა და საკრალიზაციის პათოსზე. ის, ერთი მხრივ, ეროვნული გმირია, მეორე მხრივ, გლობალური ძალების მსხვერპლი. ეს კომბინაცია სხვადასხვა ფორმულირებით ტრიალებს, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი შეჯამება კახა კალაძეს ეკუთვნის: „ბატონ ბიძინა ივანიშვილს მინდა გადავუხადო განსაკუთრებული მადლობა იმისთვის, რომ 2012 წლიდან მან საქართველოს ეროვნული ინტერესები ხელისუფლების საქმიანობის მთავარ სახელმძღვანელო პრინციპებად აქცია, მიუხედავად უდიდესი ზეწოლისა, შემოტევებისა, ჩვენ მოვახერხეთ პრინციპული პოზიციის შენარჩუნება და დავიცავით მშვიდობა, შევინარჩუნეთ სიმშვიდე ქვეყანაში“ (კალაძე, 29 აპრილი). პარტიის, თითქმის, ყველა ლიდერის გამოსვლა ჩვენ მიერ გააანალზიებულ მოხსენებებში აუცილებლად მოიცავს ერთ ან რამდენიმე სამადლობელ მიმართვას კონკრეტულად საპატიო თავმჯდომარისადმი: „სიმბოლურია რომ დღეს ჩვენს გვერდით არის ადამიანი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში გადამწყვეტი როლი და ისტორიული მისია შეასრულა, როდესაც ყველაზე რთულ დროს, სრული უიმედობისა და უპერსპექტივობის ჟამს, დიქტატურისა და მჩაგვრელი რეჟიმის პირობებში ერთ ძლიერ გუნდად საერთო მიზნისთვის გაგვაერთიანა და

საქართველო გადაარჩინა“ (ღარიბაშვილი, 16 ივლისი). „მადლობა ბიძინა ივანიშვილს იმისთვის, რომ საქართველოს დღეს აქვს მშვიდობა, ეკონომიკური ზრდა, და გავხდით კანდიდატი ქვეყანა“ (კობახიძე, 29 აპრილი).

თავად ბიძინა ივანიშვილიც არ ამბობს უარს, საჭიროების დროს, თავი საჯაროდ შეიქოს. წარმოაჩინოს საკუთარი ფიგურა ქართული იდენტობის და ღირსების მთავარ და უალტერნატივო მცველად. „სწორ დროს სწორი სვლის გაკეთება პოლიტიკის მთავარი ხელოვნებაა. ჩემი პოლიტიკური წარსული მაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ როგორც პოლიტიკურ ლიდერს ამგვარი სვლების გათვლა კარგად შემიძლია“ (ივანიშვილი, 29 აპრილი).

ტრადიციულად ჩრდილში მყოფი ბიძინა ივანიშვილის პერსონის ასეთი ინტენსიური საკრალიზაცია პარტიის მიერ, ბოლო პერიოდში, იმით უნდა აიხსნას, რომ ივანიშვილის ფინანსური და ძალაუფლებასთან დაკავშირებული ინტერესები გარკვეული საფრთხის ქვეშ დადგა. განსაკუთრებული გააქტიურება პირადად ივანიშვილის მხრიდან, მოჰყვა მის პირად ფინანსურ დავას კრედიტ სუისთან (RFE/RL 2024b). ეს დავა ზემოთ აღწერილ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაზე გადაიღვარა და კულმინაციას მიაღწია 1 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილის მიერ აშშ-ის მიმართ გამოქვეყნებულ წერილში. „გლობალურ ომის პარტიას აქვს პრინციპული გავლენა პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებზე როგორც აშშ-ში, ისე ევროკავშირში. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რატომაც ფინანსური შანტაჟის დასრულებამდე, უარს ვაცხადებ ამერიკელ პოლიტიკოსებთან და ბიუროკრატებთან შეხვედრებზე, რადგან გლობალური ომის პარტიის გავლენის ალბათობა თითოეულ მათგანთან მიმართებით ძალზე მაღალია“ (ივანიშვილი, 1 ოქტომბერი). ეს იყო პასუხი აშშ-ის საელჩოს ქარდზე, სადაც საელჩომ დეზინფორმაციას უპასუხა მარტივი ინფორმაციით: „ბიძინა ივანიშვილმა იცის, რომ კრედიტ სუისთან” დაკავშირებული ფული ბერმუდისა და სინგაპურის სასამართლოების ხელშია და არა ამერიკის – რატომ უყვება ის ქართველებს სხვა ამბავს?” (USA in Georgia 2024). მანამდე, 14 მაისს, ჯეიმს ო’ბრაიენთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემაც თქვა უარი და ამის მიზეზად ბიძინა ივანიშვილის მიმართ დაწესებული „დე-ფაქტო სანქციები“ დაასახელა (RFE/RL 2024c). ცხადია, რომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ვაშინგტონთან ყველა ოფიციალური პოლიტიკური ურთიერთობა გაწყდეს, დიდი ხანია, მიღებულია.

ნიშანდობლივია, რომ ბიძინა ივანიშვილის ფინანსების დაცვაში მმართველი პარტიის ლიდერები აქტიურად არიან ჩართული. კახა კალაძე პერიოდულად საუბრობს იმაზე, რომ საერთაშორისო სასამართლოები „ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის ბედით აშანტაჟებენ“ (bm.ge

2024). საინტერესოა ისიც, რომ რაღაც ეტაპზე თავად მანაც არ იგრძნო ამ „ბრძოლაში“ თავი დაცულად და ევროპულ ბანკებში საკუთარი მილიონიანი ანგარიშები დახურა, ხოლო ეს იმით ახსნა, რომ ევროპულ ბანკებს აღარ ენდობა, რადგან მათ ბიძინა ივანიშვილი „გაძარცვეს“ (Netgazeti 2024). თავის მხრივ, პრემიერი ირაკლი კობახიძე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აკეთებს კომენტარებს ამ თემაზე. ის კრედიტ სვისის საქმეში „პოლიტიკურ ინტერესს“ ხედავს და ეჭვს გამოთქვამს, რომ „[ივანიშვილისთვის] თანხების გაჩერების მიზეზი არის ქართული ოცნების მიერ განხორციელებული სამშვიდობო პოლიტიკა“ (1TV.ge 2022; Rustavi 2 2023).

ამგვარად, ო'ბრაიენის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს მიზეზი, [ბიძინა ივანიშვილის მიმართ ე.წ. „დე-ფაქტო სანქციები“] რომ ადამიანმა [პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ] უარი განაცხადოს ქვეყნის პარტნიორთან შეხვედრაზე, ნიშნავს, რომ პირადი ინტერესი დააყენო ქვეყნის წინაშე ვალდებულებაზე წინ, რაც კონსტიტუციაშია გაწერილი“ (RFE/RL 2024a). ბიძინა ივანიშვილი, რომელიც საკუთარ თავს ერის ლიდერად და ეროვნული ინტერესების მთავარ მცველად წარმოაჩენს, მზადაა, გაწიროს საქართველოს ყველაზე ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორთან პოლიტიკური ურთიერთობები, რაც ქვეყანას სწრაფადცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში ძლიერი მეგობრის გარეშე ტოვებს და აშიშვლებს მას იმ საფრთხეების წინაშე, რომლებიც ბოლო წლებია, იზრდება და სახეს იცვლის.

## დასკვნა: როგორ გამოიყურება ქართული ოცნების საქართველო?

2024 წლის აპრილში, ე.წ. „რუსული კანონის“ ხელახლა ინიცირების შემდეგ, ქართული ოცნების გადახრა ავტორიტარიზმისკენ შეუქცევადი გახდა: თანდათან გაცხადდა, რომ პარტიის მზერა ავტორიტარული ტიპის რეჟიმის კონსოლიდაციისკენაა მიმართული, რაც ითვალისწინებს ერთპარტიული სისტემის შექმნას, დემოკრატიული წესების გაუფასურებას და ქვეყნის ევროინტეგრაციული პროცესისგან ჩახსნას. წარმოდგენილ პოლიტიკის მემორანდუმში შეჯამებულია ის ძირითადი სამი განზომილება, რომელშიც ქართული ოცნება ხედავს საქართველოს სახელმწიფოს მომავალს ამ ამბიციის ფონზე: შიდაპოლიტიკურ განზომილებაში, პოლიტიკური ველის მოსუფთავება და მისი რეალური კრიტიკისგან დაცლა, როგორც პარტიული, ისე სამოქალაქო საზოგადოების მიმართულებით; გეოპოლიტიკურ განზომილებაში - ავტორიტარულ რეჟიმებთან დაახლოება და მათი არასანდო მხარდაჭერის მოპოვება, ხოლო პერსონალურ განზომილებაში, ბიძინა ივანიშვილის პირადი ფინანსური და ძალაუფლებასთან დაკავშირებული ინტერესების

უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მოცემულობაში, ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები - ქვეყნის დემოკრატიული მომავალი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა - მსხვერპლად ეწირება ვიწროპარტიულ და ვიწროპიროვნულ ოლიგარქიულ ინტერესებს, რაც ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისთვის და მისი ევროპული მომავლისთვის, დიდი შანსია, სასიკვდილო აღმოჩნდეს.

თუ ქართულ ოცნებას მიეცემა შესაძლებლობა, რომ განახორციელოს საკუთარი დანაპირები გაანალიზებული სამი მიმართულებით, ეს დამაზიანებელი იქნება საქართველოს მომავლისთვის. პირველ რიგში, ნიურნბერგის პროცესის შესახებ ქართული ოცნების ნარატივი შედეგად მოიტანს დემოკრატიული მმართველობის ნიშნების, თითქმის, სრულად მოსპობასა და ავტორიტარული მმართველობის ჩამოყალიბებას. ამგვარი ავტორიტარიზმის მთავარი მახასიათებლები იქნება ერთპარტიული მმართველობა, პოლიტიკური ოპონენტების განადგურება, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია, სამოქალაქო საზოგადოების მკვეთრი დასუსტება და ინდივიდუალური რეპრესიები ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ ამომრჩევლებზე. ამგვარ სისტემაში არჩევნები კვლავ ჩატარდება, თუმცა არ იარსებებს რეალური ან თუნდაც მოჩვენებითი კონკურენცია. ამ მახასიათებლების მქონე პოლიტიკურ სისტემაში ცხოვრების გამოცდილება ქართველ ამომრჩეველს უკვე აქვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ოცნებას არ მიეცეს საბჭოური ტიპის მმართველობის დამყარების შესაძლებლობა 2024 წლის არჩევნების შემდეგ.

ავტორიტარიზმის ჩამოყალიბების პარალელურად, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება დასავლურ დემოკრატიებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება-გაღრმავება, საუბარი აღარ არის ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში წევრობაზე. საქართველო, რომელიც არ არის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სახელწმიფო, ვერ შეძლებს იმგვარი ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც ეკონომიკურად მაინც იქნება მიმზიდველი და/ან საჭირო დასავლეთისთვის, როგორც მაგალითად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები არიან. შესაბამისად, დასავლური დემოკრატიებიდან წამოსული ავტორიტარიზმის კრიტიკა, ქვეყნის შიგნით გაიყიდება, როგორც ქართულ სახელმწიფოებრიობასთან ბრძოლა, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა, და რაც საქართველოს დატოვებს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მისი სიტუაციური პარტნიორები აღმოჩნდებიან მსგავსი, ძალაუფლების შენარჩუნებასა და თვითგადარჩენაზე ორიენტირებული სხვა ავტორიტარული რეჟიმები. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში რუსულ გავლენებს არ ექნება ალტერნატივა და მოსკოვის დაკვეთების წინააღმდეგ თბილისი ვეღარ წავა. ამას დამანგრეველი შედეგი ექნება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის. ბუნებრივად მსგავსი ინტერესებისა

და რიტორიკის მქონე რეჟიმები „თანამშრომლობით“ შეფუთავენ საქართველოს დაბრუნებას რუსული გავლენის ქვეშ.

ბოლოს, საქართველოში დაბრუნდები პიროვნების კულტი, რომლის ნიშნებიც უკვე წლებია იკვეთება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება მომართული უნდა იყოს იმაზე, რომ ერთი კონკრეტული პირის, ბიძინა ივანიშვილის, პირადი და ფინანსური ინტერესები დაიცვას მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით. ამგვარად, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა მორგებული იქნება სწორედ ამ საკულტო პიროვნებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო რესურსებით ღარიბია, ქართული ავტორიტარიზმი ვერ მიიღებს ლეგიტიმაციას ავტორიტარული რეჟიმის მიერ შექმნილი საყოველთაო მატერიალური კეთილდღეობით. ნაცვლად ამისა, ლეგიტიმაციის წყარო იქნება პიროვნების კულტის გარშემო შექმნილი მითოლოგია. მითები ბიძინა ივანიშვილის ნახევრად ზებუნებრივ უნდარებზე, რომ წინასწარ გათვალოს, რა მოხდება მომავალში და საკუთარ მხრებზე გადაიტანოს ყველა თავდასხმა, საჭიროა იქიდან გამომდინარეც, რომ ის სრულიად დაცლილია ქარიზმატულობისგან და არ შეუძლია საკუტარი პიროვნული თვისებების ხარჯზე მართოს მასები. შესაბამისად, მისი მისტიური იმიჯის კულტივირება ქართული ოცნების ავტორიტარიზმის ერთ-ერთი ამოცანა იქნება.

ამგვარად, ქართული ოცნების ნარატივებიდან იკვეთება იმგვარი რეჟიმის მახასიათებლები, რომლებიც ცალსახად მოგვაგონებს საბჭოური სტილის მმართველობას იმ განსხვავებით, რომ საბჭოთა კავშირს მეტ-ნაკლებად ჰქონდა რესურსები საყოველთაო მატერიალური კეთილდღეობის პოლიტიკის საწარმოებლად. ქართული ოცნების ავტორიტარიზმი კი დაფუძნებულია მითებსა და მისტიკურ მტრებზე, რომლებიც ერთდროულად ყველგან არიან და თან არც კონკრეტული სახე აქვთ. სწორედ ამგვარი მტრის ხატისა და პიროვნების კულტის შედეგი იყო საბჭოთა წითელი ტერორი, რომელიც დღემდე კოლექტიურ ტრავმად აწევს ქართველი ერის მეხსიერებას.

# გამოყენებული ლიტერატურა:


Bm.ge. 2024. კახა კალაძე: ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის ბედით აშანტაჟებენ. ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/kakha-kaladze-bidzina-ivanishvils-qveynis-bedit-ashantazheben

Civil.ge. 2024. დსთ: წარსულის აჩრდილები. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/549743

Netgazeti. 2024. კალაძე განმარტავს, რატომ დახურა მილიონიანი ანგარიშები ევროპულ ბანკებში. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/744320/

Publika. 2024. „ნეიტრალური საქართველო“ აცხადებს, რომ უნდა დაიწყოს „კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველთა მხილება და გასამართლება“. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/neitraluri-saqartvelo-ackhadebs-rom-unda-daiwyos-koleqtiuri-nacmodzraobis-amomrchevelta-mkhileba-da-gasamartleba/

RFE/RL 2024a. ო'ბრაიენი ივანიშვილ ზე: ამ ეტაპზე მის მიმართ სანქციები არაა დაწესებული. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32947303.html

RFE/RL 2024c. ივანიშვილმა აშშ-ის საელჩოს უპასუხა. ის კვლავ „გლობალური ომის პარტიის“ გავლენაზე მიუთითებს. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33142248.html

RFE/RL 2024d. კობახიძე: "ჩვენ უნდა დავლაგდეთ ყველასთან, მათ შორის გლობალურ ომის პარტიასთან". ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33143419.html

Rustavi 2. 2023. დასტურდება, რომ "კრედიტ სვისი" მოქმედებდა თავხედურად, ყოველგვარი საფუძვლის, დასაბუთების გარეშე შეუზღუდა წვდომა საკუთარ ანგარიშზე ბიძინა ივანიშვილს, მოპარა თანხები პირდაპირ ანგარიშიდან - ირაკლი კობახიძე. ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/259006

1TV. 2022. ირაკლი კობახიძე - „კრედიტ სუისი“ ფინანსურად ანგრევს საკუთარ თავს, შესაბამისად, ლოგიკურია ექსპერტების მსჯელობა, რომ შეიძლება, არსებობდეს პოლიტიკური ინტერესი. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-kredit-suisi-finansurad-angrevs-sakutar-tavs-shesabamisad-logikuria-eqspertebis-msjeloba-rom-sheidzleba-iyos-politikuri-interesi/

US Embassy, Tbilisi. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=955500423286558&set=pb.100064798268232.-2207520000

Vinklerova, Eliska. 2024. Orbán's Eurosceptic Bloc: The Patriots for Europe and Their Impact on Georgia's EU Aspirations. https://gip.ge/publication-post/orbans-eurosceptic-bloc-the-patriots-for-europe-and-their-impact-on-georgias-eu-aspirations/

მთავარი არხი. 2023. "ნიურნბერგის პროცესი ქართული ოპოზიციისთვის" | კობახიძე ისევ იმუქრება. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=Ci30hpu1CEc

პერტაია, ლუკა. 2024. მივაგენით, ვინ არის „გლობალური ომის პარტია“ და რატომ ერჩის ივანიშვილს - შეთქმულების ამ თეორიის სათავეებთან.

ქართული ოცნება, 2024. 29 აპრილი. საყოველთაო სახალხო შეკრება. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=3792722951008983

ქართული ოცნება. 2024. 16 ივლისი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=777405337800113

ქართული ოცნება, 2024. 20 აგვისტო. პოლიტიკური საბჭოს განცხადება. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=1070769791080485&set=a.488868739270596

ქართული ოცნება. 2024. 21 აგვისტო. ხელმისაწვდომია:
https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid02yAW3ZUhKAjBQcuCabZ27KnseR9LtAHD4LnaWMVVRJPP5zLJwh7tVr3h4bqM85iGpl

ქართული ოცნება. 2024. 23 აგვისტო. ბრიფინგი გორგასლის ოფისში. ხელმისაწვდომია:
https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=819687123687787

ქართული ოცნება, 2024. 14 სექტემბერი. ხელმისაწვდომია:
https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid02yNCM6LXQyWGrYKsTKaaJrXmyit6qLRpo6Xe9uRMvwLSUQ1S27AYqMD7YNrcqdcwil

ქართული ოცნება, 2024. 1 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია:
https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid0VwnGfK4xkb3R9GjLL6qtf2QJyaVNj3i9M2F1PSuPh4yo1V6kqCipDXNkyAnapWyfl

## დანართი 1:

პოლიტიკის მემორანდუმის ფარგლებში გაანალიზებული სიტყვები და განცხადებები

| სიტყვა / განცხადება | თარიღი |
|---|---|
| ქართული ოცნების საყოველთაო-სახალხო შეკრება | 29.04.2024 |
| საარჩევნო კამპანიისა და ახალი ცენტრალური ოფისის გახსნა | 16.07.2024 |
| პოლიტსაბჭოს განცხადება: 4 ამოცანა, რისთვისაც ოცნებას სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა | 20.08.2024 |
| ქართული ოცნების საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე მცხეთაში | 21.08.2024 |
| დელეგატების წარდგენა | 23.08.2024 |
| წინასაარჩევნო კამპანია გორში: | 14.09.2024 |
| ბიძინა ივანიშვილის წერილი | 1.10.2024 |

**საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)** არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

**კორნელი კაკაჩია, ლევან კახიშვილი, ნინო სამხარაძე,** „წინასაარჩევნო ნარატივები: როგორ საქართველოზე ოცნებობს ქართული ოცნება?” პოლიტიკის მემორანდუმი #77, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 99 02 12
ელ-ფოსტა: info@gip.ge

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge